

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი



Georgian Book Support Foundation



TSAKHNAGI

FACET

**Annual
of Philological Studies**

3
2011

Merab Ghaghanidze
Editor

Tbilisi • Memkvidreoba • 2011



წახნაგი

ფილოლოგიურ კვლევათა
წელიწდული

3
2011

მერაბ ლაღანიძის
რედაქციით

თბილისი • მემკვიდრეობა • 2011

წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული. 3. 2011

სარედაქციო საბჭო

შუქია აფრიდონიძე
(თავმჯდომარის მოადგილე)
ზურაბ კიკნაძე
დამანა მელიქიშვილი
ირმა რატიანი
მერაბ ლაღანიძე
(თავმჯდომარე)

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი
“მემკვიდრეობა”

ფონდის საქმიანობას ნივთიერად უზრუნველყოფს
გიორგი ლეჟავა



ნარკვევი

თამილა მაგალობლიშვილი როგორ გახდა მცხეთა ქართველთა ახალი იერუსალიმი	9
ზაზა ალექსიძე გიორგი მთაწმიდლის ქართული ოთხთავის ანდერძები	22
ირმა ყარაულაშვილი ალავერდის ოთხთავში შემავალი აბგარის ეპისტოლის წარმომავლობის საკითხისათვის (ნაწილი I)	36
ნესტან სულავა დავით გურამიშვილის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის	64
ქეთევან ბეზარაშვილი, თამარ ლომიძე გრიგოლ ღვთისმეტყველის ციკლი “ბოროტისა მიმართ” და ნიკოლოზ ბარათაშვილის “სულთ ბოროტო”: ქართული რომანტიზმის ქრისტიანული წყაროები	79
იუზა ვეგენიძე მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები კავკასიის ხალხთა შესახებ	91
თამარ ჰაიჭაძე ავანგარდიზმი ქართულ მწერლობაში: ტენდენცია თუ გენეზისი?	116
ნინო ფირცხალავა ქართული მითოსი ზღვასა და მთას შორის	130
ლევან ცაგარელი მიმეზისი. ერთი ცნების თავგადასავალი (იდეოლოგიურ-კრიტიკული ნარკვევი)	150
კონსტანტინე ბრეგაძე ნოვალისი და სოფია: სიყვარულის არსის ჰერმენევტიკა გერმანულ რომანტიზმში	165

ნინო დობორჯგინიძე

სიტყვა, კონტექსტი და მნიშვნელობის კონსტრუირება
(სიტყვის კვლევის ისტორიისათვის ძველ ქართულ
ფილოლოგიაში) 180

ნიკოლოზ ალექსიძე

ადრეული ბერძონაზვნობა ამიერკავკასიაში:
ტერმინოლოგიური პრობლემები 195

სალომე ოშიაძე

ბახტინის, კრისტევისა და ჰირშის კონცეფციები
და თანამედროვე ტექსტი 208

მარინე ბერიძე

კორპუსული ლინგვისტიკა და თანამედროვე
ინტერდისციპლინარული მატრიცა 216

მანანა კობაძე

მედიაოქტიური ზმნების ფორმა
და მათი ბრუნვაგვალებადი ობიექტის თავისებურება 237

ლექცია**გურამ ლებანიძე**

ფილოლოგიის შესავალი: *ლექციები 8-9* 263

პუბლიკაცია**ვასილ კირვალიძე**

აკაკი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და
კომენტარები დაურთო *თამაზ ჯოლოგუაძე*) 275

მასალა**აკაკი ბაქრაძე**

ქართველი ფუტურისტები 311

ბელა წიფურია

რეფლექსია ქართულ ფუტურიზმზე
და აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები 315

რუსუდან დაუშვილი

მესტამბე დავით ხელაძე და “დედა-ენა“ პარიზში 320

პორტრეტი

სოსო ტაბუცაძე

ენისმოქმედი: თამაზ ჩხენკელი 329

გამონმარება

მერაბ ლაღანიძე

ათონის ქართული მონასტრის აღაპების დაგვიანებული
გამოცემა
[ნიკო ბერძენიშვილი, ათონის ივერთა მონასტრის აღაპები,
2007] 335

თემურ ჯაგოდნიშვილი

ხალხური პოეზიის ახალი კრებული
[ხალხური პოეზიის ანთოლოგია, 2010] 345

მირანდა ტყეშელაშვილი

მნატვრულ-ბიოგრაფიული ტექსტები XIX საუკუნის
საქართველოს გასაგებად
[იონა მეუნარგია, თხზულებანი, ტ. 1, 2010] 351

მანანა კვატაია

ტექსტოლოგიურ ინოვაციათა სამყაროში
[ჯულიეტა გაბოძე, აკაკის თხზულებათა გამოცემები, 2009] 361

გაგა ლომიძე

ტოტალიტარული გამოცდილების “მტანჯველი მოგონება”
[ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი, 2010] 370

ახალი წიგნები 375

ავტორები 379

**მედიაოქტიური ზმნების ფორმა
და მათი ბრუნვაცვალებადი ობიექტის თავისებურება**

სტატიაში განხილულია განსხვავება ლაბილურგარდამავალი (*თამაშობს*) და გარდამავალი (*ხატავს*) ზმნების მორფოლოგიურ ყალიბებს შორის აწმყოს წრის მწკრივებში, აგრეთვე, განსხვავება ლაბილურგარდამავალი ზმნების ბრუნვაცვალებად ობიექტსა (*თამაშობს ჭადრაკს*) და გარდამავალი ზმნების ბრუნვაცვალებად ობიექტს შორის (*ხატავს სურათს*).

სანამ მედიაოქტიური ზმნების განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ წარმოვადგენთ ზმნის კლასიფიკაციას, რომელსაც ეს სტატია ეყრდნობა.

1. ძირითადი მორფოლოგიური ყალიბები

ქართულ ზმნებს მორფოლოგიური აგებულების მიხედვით ვყოფთ ორ ძირითად ჯგუფად:

1. უმეშველზმნო ზმნები (ლ-თჰ და ლ-თჰ-ი), სადაც **ლ** აღნიშნავს ძირს, **თჰ** კი თემის ნიშანს (ვ-ა-შენ-ებ), აგრეთვე ხმოვანმონაცვლე ელემენტს (ვ-დრ-ეკ), ასევე, **ვტირი** ტიპის ზმნების მწკრივის ნიშნად მიჩნეულ -ი სუფიქსს. **თჰ-** სიმბოლოს მომდევნო -ი სუფიქსი (**ლ-თჰ-ი**) დინამიკური გარდაუვალი ზმნების ნიშანია (უღლებს მეორე ტიპი: *ვთბ-ებ-ი, ვწითლდ-ებ-ი, ვიხრჩობ-ი, ვერ-ევ-ი...*).

2. მეშველზმნიანი ზმნები (R-Aux) (სადაც **R** აღნიშნავს ძირს და **Aux** — დამხმარე ზმნას).

მეშველზმნიანებს ვუწოდებთ ყველა იმ ზმნას, რომელიც დაირთავს მეშველ ზმნას აწმყოს ვინის რიგის ნიშნით გამონატული პირველი პირის ფორმაში: *ვწუხვარ, ვუყვარვარ, ვდგავარ*, და ა.შ. ეს ზმნები ფორმით სტატიკური ზმნებია.

უმეშველზმნობები აწმყოში ვინის რიგის ფორმებში, ჩვეუ-

ლებრივ, მეშველ ზმნას ვერ დაირთავენ (*ვცხოვრობ, ვაშენებ, ვკვდები...*). უმეშველზმნოები უმეტესად თემისნიშნისანი ზმნებია.

უმეშველზმნოებში, თავის მხრივ, გამოიყოფა გარდამავალი (*ვაშენებ* ტიპის), ე.წ. ლაბილურგარდამავალი (*ვთამაშობ* ტიპის) და დინამიკური გარდაუვალი (*ვთბები* ტიპის) ზმნები. მეშველზმნიანებსა და უმეშველზმნოებს შორის გარდამავალ საფეხურზე დგანან *ვტირი* ტიპის ზმნები.

პარადიგმების ტიპების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია ასევე ზმნის ტელიკურობისა და ატელიკურობის საკითხი, რაც განსაზღვრავს ზმნის უნარს დაირთოს ან ვერ დაირთოს ზმნისწინი მყოფადის მწკრივებში (ჰოლისკი 1979, ტუიტი 1993). ზმნა შეიძლება ატელიკური იყოს (უზმნისწინო მყოფადი), მაგრამ სრულ ასპექტს გამოხატავდეს.

როგორც მეშველზმნიანებში, ასევე უმეშველზმნოებში გამოიყოფა ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი და ბრუნვაუცვლელსუბიექტიანი ზმნები (ცხრილი პირველი).

ცხრილი პირველი

	პირდაპირი წყობის ზმნები		ინვერსიული წყობის ზმნები	
უმეშველზმნოები	1. ვაცივებ, ვთლი	B	1. მაცივებს	C
	2. ვეთამაშები	A	2. ვეჯავრები	C
	3. ვთამაშობ	B	3. (* მსიამონებს)	C
	4. ვტირი	B	4. (* უტირის)	C
მეშველზმნიანები	5. ვწუხვარ - წუხს	B	5. (* უწუხს)	C
	6ა. ვჩანვარ - ჩანს 6ბ. ვდგავარ - დგას	A	6ა. უკვირს 6ბ. ვუყვარვარ	C
	7. ვწერივარ - სწერია	A	7. ვურჩევნივარ	C
	8. -ცხელა, - ცივა	A	8. - სჯერა	C

(ცხრილში ლათინური ასოებით სინტაქსური ყალიბებია მითითებული, რაც ქვემოთ იქნება განმარტებული).

აკაკი შანიძისეული უღლების მესამე ტიპი აქ წარმოდგენილია სამ ჯგუფად:

(3) -**ებ/-ობ/-ავ** თემისნიშნისანი. აქვე შეგვაქვს რამდენიმე

უთემისნიშნო ზმნაც. მათი რიცხვი მცირეა, სულ ათამდე ზმნაა, ხმარების სინშირითაც არ გამოირჩევიან (*ჟღერს, ჩქეფს...*). ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ საკითხზე.

(4) -ი სუფიქსიანები (*ვტირი*)

(5) ბრუნვა-ცვალებადი სუბიექტის მქონე **მეშველზმნიანები** (*ვწუხვარ*). ასეთი დაჯგუფება საშუალებას იძლევა ნათლად ჩამოყალიბდეს ე.წ. მედლოაქტიურების, კერძოდ კი, მესამე და მეოთხე ჯგუფის მედლოაქტიურების მორფოლოგიური ნიშნები.

მე-5 ჯგუფი (მეშველზმნიანი მედლოაქტიური) ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფია, სულ რამდენიმე ზმნას მოიცავს (*წუხს, დულს, ყარს, თოვს, ჭექს, ქუხს, წვიმს...*) და მათგან უმეტესობა უსუბიექტოა, მაგრამ ეს ჯგუფი მაინც გვიჩვენებს იმ შესაძლებლობას, რომ მეშველზმნიანებსაც შეიძლება ჰქონდეთ ბრუნვა-ცვალებადი სუბიექტი.

დანარჩენ მეშველზმნიანებში გამოიყოფა ბრუნვა-უცვლელი სუბიექტის მქონე ჯგუფები:

(6) მესამე პირის -ს ნიშნიანი ბრუნვა-უცვლელი სუბიექტის მქონე მეშველზმნიანები (*დგას — იდგა*)

(7) სტატიკური ვნებითები (*აფენია — ეფენია*), და ბოლოს,

(8) უწყვეტლის —*თდ* ნიშნიანი მეშველზმნიანები (*სჯერა — სჯეორდა, ეშინია — ეშინოდა...*).

ხშირად უთემისნიშნო ზმნებად მიიჩნევა ისეთი ზმნები, როგორც არის *დგას, წეფს, დევს, ღირს, სძულს, სჯობს, სურს, შურს, დუმს, ჩანს, ჭირს, ახსოვს, უყვარს, უკვირს, უმძიმს...* აღწერა უფრო ზუსტი იქნება, თუკი ეს ზმნები დახასიათდებიან როგორც მეშველზმნიანები და არა როგორც უთემისნიშნოები.

ისეთი **ზმნები, რომლებსაც არც მეშველი ზმნა აქვთ, არც თემისნიშანი** და რომლებიც აწმყოს ვინის რიგის ფორმაში შიშველ ფუძეზე დაირთავენ პირის ნიშნებს, სულ რამდენიმეა. ეს ზმნებია: *ვჭამ, ვბან, ვატან, ვიყვან, ვფხან, ვქსოვ, ვძოვ, ვთხოვ, ვწოვ*. თვითონ ამ ზმნებშიც —*ან* და —*ოვ* წარმოშობით სუფიქსებია. როგორც ჩანს, ეს ელემენტები დღესაც სუფიქსებად აღიქმება (თოფურია 2002:393-394; მელიქიშვილი 1979:87). ამიტომ ეს ზმნები არც დიალექტებში დაირთავენ რაიმე დამატებით თემის ნიშანს. სწორედ ეს განასხვავებს მათ *ვწერ* ზმნისაგან, რომელიც დიალექტებში თემის ნიშნით არის წარმოდგენილი, სალიტერატურო ენაში კი ნიშანი არა აქვს. *ვწერ* ზმნა ამ ფორმით, როგორც ეს სალიტერატურო ენაშია დამკვიდრებული, **უაღრესად იშვიათი გამონაკლისია** (მელიქიშვილი 1979:87).

მეშველზმნიანების ცალკე ჯგუფად გამოყოფა ახალი არ არის. ბესარიონ ჯორბენაძემ ქართული ზმნის უღლების ორი ძირითადი ყალიბი გამოყო, მაგრამ მიუთითა მესამე (მეშველზმ-

ნიანი) ყალიბის არსებობის შესახებაც: "არის მესამე ყალიბიც, რომელიც შეიძლება იყენებდეს ვნებიტის ან მოქმედებითის ყალიბს, და რომელიც მარკირებულია მეშველი ზმნით" (ჯორბენაძე 1991:123). აკაკი შანიძის უღლების მეოთხე ტიპის მახასიათებელიც სწორედ მეშველზმნიანობაა. მეშველზმნიანების ერთი ნაწილი (*ვწუხვარ ჯგუფი*) მან უღლების მესამე ტიპში გააერთიანა. ამ მცირე ჯგუფს ჩვენ აქ ცალკე გამოვყოფთ მეხუთე ჯგუფის სახით. როგორც ცნობილია, მეოთხე ჯგუფის ზმნებიც (*ვტირი, ვიციანი, ვტყუი...*) იჩენენ მეშველი ზმნის განვითარების ტენდენციას და ამ ნიშნით გარდამავალ საფეხურზე დგანან თემისნიშნიანებსა და მეშველზმნიანებს შორის.

2. სინტაქსური ყალიბები

ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციაში ზმნის თვითიველ მორფოლოგიურ ტიპთან ცალკე მიეთითება სინტაქსური ყალიბიც: A ყალიბის ზმნები სახელობითბრუნვიანი სუბიექტის მქონე ზმნებია, B ყალიბის ზმნებს ბრუნვაცვალებადი სუბიექტია აქვთ, C ყალიბი კი ინვერსიული, მიცემითსუბიექტიანი ზმნებია.

მიცემითბრუნვიანი აქტანტის სუბიექტად მიჩნევა და ამ ზმნების ინვერსიულად მიჩნევა დღესაც საკამათოა, თუმცა ამ საკითხს ამჯერად არ შევეხებით.

C ყალიბის ზმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ე. წ. ვნებიტის ყალიბი აწმყოს მწკრივებში, დანარჩენ მწკრივებს, ჩვეულებრივ, ვნებიტის ყალიბით იწარმოებენ. ამიტომ არის ვარსკვლავით აღნიშნული მესამე, მეოთხე და მეხუთე ჯგუფის ინვერსიულები. მათი ერთპირიანი (მაგალითად, *წუხს*) და ორპირიანი (*უწუხს*) ცალები უღლების სხვადასხვა მოდელს იყენებენ:

წუხს — იწუხებს

უწუხს — შეუწუხდება (და არა **უწუხებს* ან **შეუწუხს*)

(შანიძე 1980:475, მელიქიშვილი 2001:86; სუნიშვილი 2008:196)

საერთოდ, უღლების მესამე (*ვთამაშობ*) და მეხუთე (*ვწუხვარ*) ჯგუფის ზმნები ვალენტობის ანდა პირიანობის მატებსას უღლების სხვა ყალიბზე გადაუსვლელად ძნელად ახერხებენ. სხვა ყალიბი ან აწმყოს მწკრივშივე იჩენს თავს (*ლაპარაკობს — ელაპარაკება*), ანდა სხვა მწკრივებში (*წუხს/იწუხს — უწუხს/შეუწუხდა*).

მეოთხე ჯგუფს ამ მხრივ მეტი შესაძლებლობა აქვს:

იციანს/იციანა — უციანს/გაუციანა

ჩივის/იჩივლა — უჩივის/უჩივლა

კვივის/იკვილა — უკვივის/უკვილა

მეშველზმნიანი პარალელური ფორმების (**ვტირი/ვტირი-ვარ**) და უწყვეტლის — ოდ-იან წარმოებასთან ერთად (**ვტირი — ვტიროლი**) სწორედ ეს თვისებაც განასხვავებს მეოთხე ჯგუფის ზმნებს (**ვტირი, ვიცინი, ვფერი...** ზმნებს) მესამე ჯგუფისგან (-ებ/-ობ/-ავ თემისნიშნიანებისგან), აგრეთვე მეხუთე, მეშველზმნიანი მედიაოქტივებისგან.

ინვერსიულ ზმნებს შორის გამონაკლისს შეადგენენ **უღლე-ბის პირველი ტიპის შესაბამისი ინვერსიული ზმნები**. ისინი მოქმედებითი ზმნის მორფოლოგიურ ყალიბს აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებშიც ინარჩუნებენ და, დანარჩენი ინვერსიული ზმნებისგან განსხვავებით, არ გადადიან —**ებ-ი ტიპის წარმოებაზე** (*მას ამოქნარებს — დაამოქნარებს — დაამოქნარა; შდრ. მას უწუხს — მას შეუწუხდება — მას შეუწუხდა...*).

3. მედიაოქტიური ზმნების გარდამავლობის საკითხი

სტატიის მომდევნო ნაწილში სწორედ მედიაოქტიურ ზმნებს ვეხებით, ანუ **ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, მესამე (ცვხვობ), მეოთხე (ვიცინი) და მეხუთე (ვწუხ-ვარ) ჯგუფის ზმნებს**. განხილული იქნება საკითხი, არის თუ არა მედიაოქტიური ზმნების გამოყოფა ამ ზმნების მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკური ან ფუნქციური კვალიფიკაცია, თუ არსებობს ფორმაც, რომელიც მათ განასხვავებს დანარჩენი ზმნებისგან.

ლექსიკური მახასიათებლების მიხედვით მედიაოქტიური ზმნები დაწვრილებით არის შესწავლილი ჰოლისკის მიერ და მიღებულია დასკვნა, რომ ამ კლასის ზმნებს აერთიანებს ლექსიკური მახასიათებელი. ისინი არიან ატელიკური ზმნები (ატელიკური ზმნებით გამოხატული მოქმედება მიზნად არ ისახავს რაიმე დასრულებული შედეგის მიღწევას) და სწორედ ამ თვისების გამო და ამ თვისებასთან ერთად, გარდაუვალი ზმნებიც (ჰოლისკი 1979:393; 398-399).

რაც შეეხება ამ ზმნების გარდამავლობის საკითხს, ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, იმით, თუ როგორ განვსაზღვრავთ ზოგადად გარდამავლობის კატეგორიას, მეორე მხრივ კი იმით, ჩაითვლება თუ არა ვითამაშებ/ვითამაშე ფორმები ვითამაშებ ტიპის ფორმების ორგანულ გაგრძელებად.

აკაკი შანიძის მიერ ჩამოყალიბებული წესის მიხედვით (ბრუნვა-ცვალებადი **პირდაპირი ობიექტის** ქონა), მედიაოქტიური ზმ-

ნების უმრავლესობა გარდაუვალია. არნოლდ ჩიქობავა გარდამავლობის ნიშნად *ბრუნვაცვალებადი სუბიექტისა და ობიექტის ქონას* და, აგრეთვე, აორისტში მესამე პირის მრავლობითში — *ეს* სუფიქსს მიიჩნევდა (ჩიქობავა 1998:49-50), მაგრამ მედიოაქტიურებს სტატიკურ გარდაუვალ ზმნებად მიიჩნევდა, რადგან მათ მეორე და მესამე სერიის ფორმებს, ასევე, მყოფადის წრის ფორმებს, არ მიიჩნევდა ამ ზმნების უღლების პარადიგმის ორგანულ გაგრძელებად (ჩიქობავა 1998:82).

გარდამავალ ზმნებად არის განხილული ეს ზმნები “დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში” (რეიფილდი და სხვ. 2006). ამ შემთხვევაში გარდამავლობის კრიტერიუმში, უპირველეს ყოვლისა, არის სუბიექტის ბრუნვაცვალებადობა.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკი შანიძე მედიოაქტიურ ზმნებს გარდაუვალ ზმნებად მიიჩნევს: “მედიოაქტივი ზმნები გარდაუვალია. პირდაპირი ობიექტური მიმართების ფორმები აკლია” (შანიძე 1980:305). თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ ზოგი მედიოაქტიური ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს, მაგალითად *თამაშობს*, *ანგარიშობს*... (შანიძე 1980:483).

გარდაუვალ ზმნებად მიიჩნევს ამ ზმნებს ჰარისიცი და ისიც შენიშნავს: მესამე ტიპის ერთი და იგივე ზმნა შეიძლება გარდამავალი იყოს როგორც თავისი ამოსავალი სტრუქტურით, ასევე საბოლოო სტრუქტურითაც. ასეთია, მაგალითად, ზმნა *თამაშობს* გამოთქმამი: *ის ბურთს თამაშობს*. იგივე ზმნა, რომელიც ამოსავალი მნიშვნელობით გარდამავალია, შეიძლება საბოლოო ფორმით გარდაუვალი იყოს: *ის თამაშობს* (ჰარისი 2009:186-187). ამასთანავე, ის მიიჩნევს, რომ მესამე ტიპის ზმნების ერთ ნაწილში სრულიად გამორიცხულია ბრუნვაცვალებადი ობიექტის არსებობა, ეს ზმნები თავისი ამოსავალი მნიშვნელობით არიან უობიექტო ზმნები. მაგალითად დასახელებულია ზმნები: *ყიყინებს*, *ხვიზინებს* (ჰარისი 2009:182; 231). ჰარისი სხვა თეორიულ ასპექტში განიხილავს ამ საკითხს, ე.წ. საწყისი, ანუ ამოსავალი მნიშვნელობისა (სიღრმისეული, სემანტიკური) და საბოლოო ფუნქციის (გრამატიკული გამოხატვის) ურთიერთშედარების თვალსაზრისით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასეთი ზმნებიც კი ითავსებენ დროის ან ვითარების გარემოების ფუნქციის მქონე ბრუნვაცვალებად სახელებს (აფრიდონიძე 1998:14-15). მართლაც, სრულიად შესაძლებელი ასეთი ფორმაც: *ბევრს ყიყინებს*.

გარდამავლობის შესწავლის ისტორია დაწვრილებით არის განხილული მურმან სუხიშვილის გამოკვლევაში “გარდამავალი ზმნები ქართულში” (სუხიშვილი 1986:3-33).

მ. სუხიშვილის მიხედვით, მედიოაქტიურების მეორე სერიის ფორმები (*დაიძინა*, *გაიციინა*...) გარდამავალი ზმნებია. მართა-

ლია მათ დაკარგული აქვთ პირდაპირი ობიექტი, მაგრამ ზმნას შენარჩუნებული აქვს გარდამავალი ზმნის ფორმა და სწორედ ამიტომ არის სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში და არა ამ ზმნების შინაარსის გამა (სუხიშვილი 1986:107). ამიტომ მესამე ტიპის ზმნების მონაცემზე დაყრდნობით ქართული ენის აქტიური წყობის ენად მიიჩნევა არ უნდა იყოს მართებული (იქვე: 111-116). აღსანიშნავია, რომ აქტიურობის თეორიის მომხრეებმაც აღიარეს, რომ ამ ზმნების სუბიექტის მოთხრობითი ბრუნვით მარკირების განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის სუბიექტის ან ზმნის სემანტიკა (ჰარისი 1982:304-305).

არის შეხედულებაც, რომ გარდამავლობა შეიძლება გაგებული იქნეს როგორც შედარებითი კატეგორია, კონტინუუმი. ზმნა შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად გარდამავალი. გარდამავლობის დასადგენად გამოყოფილია დაახლოებით ათი სემანტიკური კრიტერიუმი, მაგალითად, აქტიური — არააქტიური, ნების მქონე — უნებლიე, ტელიკური — ატელიკური, და ა.შ. (ჰოპერი და თომპსონი 1980:252).

ამასთან დაკავშირებით, საკამათოდ მიიჩნევა ისიც, შეიძლება თუ არა მეორე და მესამე სერიის ფორმების მიჩნევა ამ ზმნების პირველი სერიის მწკრივების ორგანულ გაგრძელებად. აკაკი შანიძის შეხედულებით, ამ ზმნებმა გამოიყენეს მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის მოდელი II სერიის მწკრივების საწარმოებლად. ნასესხებად, არაორგანულად მიიჩნევენ ამ მწკრივებს ბევრი სხვა მკვლევარი (გოგოლაშვილი 1988:145). აკაკი შანიძე იმასაც მიუთითებდა, რომ მესამე სერიაში ეს ორი სხვადასხვა პარადიგმა ერთმანეთისაგან განსხვავებულია (შანიძე 1980:476): **აკანკალებს — უკანკალებია**, შდრ. **კანკალებს - უკანკალია**. დამთხვევა, უფრო სწორად, გამოუყენებელი ცარიელი მოდელის დატვირთვა ფუნქციით, მხოლოდ მეორე სერიაში შეიმჩნევა.

მეორე თვალსაზრისით, დიდი ხანია ეს მოდელი უკვე სრულყოფილად ფუნქციონირებს როგორც მედიაოქტიური ზმნების პარადიგმის ორგანული ნაწილი (ნოზაძე 1974:25-51; მელიქიშვილი 2001:85). დამანა მელიქიშვილი ამ ზმნებს ავტოაქტივებს უწოდებს (2001 წლის გამოცემაში გამოყენებულია ტერმინი *ავტოტივი*) და წერს “ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს (...ამეფებს ის მას, მაგრამ მეფობს ის თვითონ) და ზედაპირზე არასრული კონსტრუქცია აქვთ. ამიტომ თუმცა მათ აბსოლუტური ავებულება აქვთ, კანონზომიერია, რომ მყოფად-წყვეტილის ჯგუფის მწკრივებს ისინი აწარმოებენ ი-პრეფიქსის საშუალებით, რომელიც ავტოტივებშიც და ვნებითებშიც რეფლექსივის ნიშანია, ხოლო აქტივში სასუბიექტო ვერსიის ფუნქციას იძენს” (მელიქიშვილი 2001:84).

თვითონ აწმყოს მწკრივებიც დღევანდელი ფორმით შედარებით ახალი წარმონაქმნია. მედიოაქტიური ზმნები “ძველი ქართული ენის შედარებით გვიანდელ წერილობით ძეგლებში დასტურდება.” იხ, რ. ენუქაშვილი, საშუალი გვარის ზმნები ძველ ქართულში (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი რუსულ ენაზე, თბილისი, 1974) (დამოწმებულია წიგნიდან სუხიშვილი 1986:112).

ძველ ქართულში ასეთი ზმნები ი- პრეფიქსით იწარმოებდნენ აწმყოს ფორმებს:

იბრდღუნენს, ისწავენს, ილოცავს და მსგავსი ფორმები აწმყოს მნიშვნელობას გამოხატავდა. “ამ ტიპის ზმნათა ი- პრეფიქსიანი ფორმები, ისევე როგორც პირველი სრული დიათეზის და მეორე დიათეზის ზმნისწინიანი ფორმები მომავალ დროში გადაირიცხნენ” (მელიქიშვილი 2001:84-85), აწმყოს ფუნქციის გამოსახატად კი ახალი წარმოების ფორმები დამკვიდრდნენ.

მედიოაქტიური ზმნების აწმყოს ფორმები განვითარდა, როგორც ორგანული შემავსებელი იმ ცარიელი ადგილისა, რომელიც გამოჩნდა სისტემაში ხმოვანპრეფიქსიანი ფორმების მყოფადმი გადარიცხვის შედეგად.

ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. *იგებს — გებულობს, ითხოვს — თხოულობს, იბრძვის — ბრძოლობს* და მსგავსი წყვილები ამ მიმდინარე პროცესის შედეგად თანაარსებობენ ენაში. ამათგან ზოგი უკვე სალიტერატურო ენის სრულყოფილებიან ნაწილად იქცა, ზოგი ფორმა კი (მაგალითად, *ჰკარნახობს, ჰპასუხობს*) დღესაც უკანონო ახალმოსახლედ არის მიჩნეული და სალიტერატურო ენაში ყოფნის უფლებას მოკლებულია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია ენის ორგანულ ნაწილად იქცა და უაღრესად ანგარიშგასაწევი და ღვაწლმოსილი ენათმეცნიერები ურჩევენ ნორმების დამდგენთ, რომ სწორ ფორმად აღიარონ ისინი (ჭუმბურიძე 2007:95-101).

ამ საკითხთან დაკავშირებით არ განვიხილავთ არის თუ არა ქართული ენა აქტიური წყობის ენა ან ერგატიული წყობის ენა. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ამოსავალ განსაზღვრებაზე შეთანხმების საკითხია და ეხება იმას, თუ რამდენად მიესადაგება მოცემული ენის აგებულება აკუზატიური ენის, აქტიური ენის, ანდა ერგატიული ენის განსაზღვრებად მიჩნეულ დებულებას, უფრო ზუსტად, რამდენად მიესადაგება კონკრეტული ენის აგებულება თეორიულად აგებულ სქემას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი აკუზატიური, ერგატიული თუ აქტიური ენა. ამა თუ იმ კონკრეტული ენის მონაცემები იშვიათად ემთხვევა იდეალურ სქემას. ხშირად პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები სხვაგვარად იქცევიან, ვიდრე მესამე პირისა, ზოგჯერ

განსხვავებულია მარკირების სისტემა გრამატიკული სქესის მიხედვით, სულიერის და უსულოს მიხედვით, ზმნის გრამატიკული დროის მიხედვით, ერთმანეთს არ ემთხვევა აქტანტიების ბრუნვის ნიშნით მარკირება და მათი პირის ნიშნების განაწილება და ა.შ. ამა თუ იმ ენის მასალის ახლოს შესწავლა ხშირად ააშკარავებს, რომ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ტიპების გარდა ხშირად არის წარმოდგენილი რაღაც შუალედური თვისებების მქონე სისტემებიც. ქართული ენის აქტიურ ენად მიჩნევის შესახებ შეხედულება დაწვრილებით არის განხილული და გაკრიტიკებული მურმან სუხიშვილის გამოკვლევაში (სუხიშვილი 1986). თვითონ ჰარისმაც, რომელიც ქართული ენის წყობაში აქტიური ენის ნიშნებს ხედავდა, ცალკე სტატია მიუძღვნა ამ საკითხს და დაასკვნა, რომ სემანტიკური ნიშნით არ ხერხდება ქართული ზმნების დაყოფა და რომ თუ მოთხრობითი ბრუნვა იჩენს თავს ამა თუ იმ კონსტრუქციაში, ეს აუცილებლად გრამატიკული ფაქტორებით არის გაშუალებული (ჰარისი 1982:304).

ამგვარად, აქ ბევრი რთული საკითხი იყრის თავს, მაგრამ ამ სტატიაში ვეხებით ორ კონკრეტულ საკითხს:

1. განსხვავდება თუ არა მედიაოქტიური ზმნების ბრუნვაცვალებადი ობიექტი მოქმედებითი გვარის ზმნების ბრუნვაცვალებადი ობიექტისგან სემანტიკურად ან სინტაქსურად.
2. განსხვავდება თუ არა მედიაოქტიური ზმნების აწმყოს ფუძის აგებულება მოქმედებითი გვარის ზმნების აწმყოს ფუძის აგებულებისგან.

როგორც ჩანს, ორივე შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. თუმცა, ამავე დროს, ცხადია ამ ზმნების განსხვავებულობა გარდაუვალი ზმნებისგანაც, რომლებიც ძირითადად —Th-ი დაბოლოებით ან მეშველი ზმნით არიან მარკირებული ქართულში. მედიაოქტიური ზმნები გარდამავლობის მიხედვითაც შუალედურ საფეხურზე დგანან გარდამავალ ტელიკურ ზმნებსა და გარდაუვალ ტელიკურ ზმნებს შორის. გარდამავლობის კატეგორიის წარმოდგენა მკაცრი დიქტომიის სახით ამ ზმნების თვისებების ფონზე პრობლემური ჩანს.

4. ბრუნვაცვალებადი ობიექტი და გარდამავლობის საკითხი მედიოაქტიურ ზმნებში

ახლა დავუბრუნდები ისევ იმ საკითხს, თუ თვითონ აწმყოს ფორმებში როგორ განსხვავებს ენა, ერთი მხრივ, უღლების პირველი ტიპის ზმნების მიცემითბრუნვიან პირდაპირ ობიექტს და, მეორე მხრივ, მედიოაქტიურების მიცემითბრუნვიან პირდაპირ ობიექტს. თავისთავად ეს ფაქტი უცნაური არ უნდა იყოს, რადგანაც ამ ორი სხვადასხვა ყალიბის ზმნების პირდაპირი ობიექტები ერთმანეთისგან სემანტიკითაც განსხვავდებიან. მედიოაქტიური ზმნების შესაძლო პირდაპირი ობიექტი ნაკლებად კონკრეტულია და ნაკლებად განიცდის რაიმე ცვლილებას ზმნით გამოხატული მოქმედების შედეგად (მაგალითად, *თამაშობს ჭადრაკს, ამბობს სიმართლეს...შდრ.: წერს წერილს, აცხობს პურს, აშენებს სახლს...*).

ბრუნვაცვალებადი ობიექტი, რომელიც შეეწყობა მედიოაქტიურ ანუ **ლაბილურგარდამავალ** ზმნებს, თავისი ბუნებით განსხვავდება გარდამავალი ზმნის ბრუნვაცვალებადი ობიექტისგან.

თუ მოქმედებითი გვარის ზმნისაგან (მაგალითად, *წინო სურათს ხატავს*), შესაძლებელია ვნებითი გვარის ზმნის წარმოება, სადაც ყოფილი პირდაპირი ობიექტი (*სურათი*) იკავებს სუბიექტის ადგილს (*სურათი იხატება*), ლაბილურგარდამავალი ზმნისგან ასეთი ფორმის წარმოება ძნელია. მაგალითად, *წინო კალათბურთს თამაშობს* — ამ ფორმისგან საკმაოდ ხელოვნური იქნებოდა ასეთი ფორმის წარმოება: **კალათბურთი ითამაშება*, თუმცა კი შესაძლებელია *მატჩი თამაშდება*, ანდა შესაძლებლობის ვნებითის წარმოება (*აქ კალათბურთი არ ითამაშება*) (შანიძე 1980, სუხიშვილი 1986, ასათიანი და სხვ. 2007:6-9). ამ განსხვავების შესახებ რელაციური გრამატიკის თეორიაზე დაყრდნობით წერს ჰარისიცი (2009).

არის მოსაზრებაც, რომ ბრუნვაცვალებადი ობიექტის და, აგრეთვე, დროის ან ვითარების გარემოების ფუნქციის მქონე ბრუნვაცვალებადი სახელების გათვალისწინება (*თამაშობს ბევრს, ითამაშა ბევრი*) “გარკვეულ კორექტივს შეიტანს ე.წ. მედიოაქტიური ზმნების კვალიფიკაციაში გარდამავლობის თვალსაზრისით” (აფრიდონიძე 1998:14-15). მართლაც, გარეგნულად ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს მათ შორის განმასხვავებელი ნიშნების არსებობაც. უპირველეს ყოვლისა კი, პირის ნიშნით ზმნაში გამოხატვის სხვადასხვა უნარი. ქვემოთ განვმარტავთ, თუ რას ვგულისხმობ, როცა პირდაპირი ობიექტის პირის ნიშნით გამოხატვას ვახსენებ.

ცნობილია, რომ ქართულში ობიექტური პირის გამოხატვის თვალსაზრისით განსხვავებაა, ერთი მხრივ, პირველ-მეორე პირსა და, მეორე მხრივ, მესამე პირს შორის. პირველი და მეორე ობიექტური პირი ზმნაში ნიშანს იჩენს, მიუხედავად იმისა, ეს ობიექტური პირი პირდაპირია თუ ირიბი. მესამე პირში კი განსხვავებაა პირდაპირობიექტური და ირიბობიექტური პირის გამოხატვის მიხედვით. ახალ ქართულში მესამე ირიბობიექტური პირი ნიშანს იჩენს (*ის წინოს წერილს ს-წერს*), მესამე პირდაპირობიექტური პირი კი ნიშანს ვერ იჩენს (*ის მოთხრობას თ-წერს*). ახალი ქართულისგან განსხვავებით, ძველ ქართულში მესამე ობიექტური პირის გამოხატვისას განსხვავება იყო არა პირდაპირ და ირიბ ობიექტურ პირებს შორის, არამედ მიცემითბრუნვიან და სახელობითბრუნვიან ობიექტებს შორის. მიცემითბრუნვიანი ობიექტი მესამე პირში პრეფიქსით იყო წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, ის პირდაპირი ობიექტი იყო თუ ირიბი. განსხვავება პირდაპირ და ირიბ ობიექტებს შორის დაჩნდებოდა მხოლოდ მეორე სერიაში, სადაც სახელობითბრუნვიან ობიექტს პირის ნიშანი არ ჰქონდა, ირიბი ობიექტი კი, რომელიც მიცემით ბრუნვას მეორე სერიაშიც ინარჩუნებდა, პირის ნიშანსაც ინარჩუნებდა.

ეს ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ თანამედროვე დიალექტშიც არის შემორჩენილი (ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში, მოხეურში...). ამ დიალექტებში მესამე ობიექტური პირის გამოხატვის თვალსაზრისით დღესაც ერთ მხარეს დგანან მიცემითბრუნვიანი ობიექტები, მეორე მხარეს კი სახელობითბრუნვიანი ობიექტები. ზმნაში პირის ნიშნის გაჩენის უნართა ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მესამე პირის პირდაპირი და ირიბი ობიექტები, არამედ მესამე პირის სახელობითბრუნვიანი და მიცემითბრუნვიანი ობიექტები. მესამე პირის მიცემითბრუნვიანი ობიექტი პირველ სერიაში პირის ნიშნით არის ზმნაში აღნიშნული, მეორე სერიაში კი, როგორც კი ობიექტი სახელობით ბრუნვაში აღმოჩნდება, ის კარგავს ობიექტური პირის ნიშანს:

- აწმყო: ის ს-თლის ვაშლ-ს
- მყოფადი: ის გა-ს-თლის ვაშლს
- წყვეტილი: მან გა-თ-თალა ვაშლი.

- აწმყო: ის ს-წურავს სარეცხს
- მყოფადი: ის გა-ს-წურავს სარეცხს
- წყვეტილი: მან გა-თ-წურა სარეცხი.

მესამე ობიექტური პირის ნიშნების ასეთი განაწილება სერიების მიხედვით ნორმა იყო ძველი ქართულ ენაში და ის დღესაც ნორმალა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში.

შეიძლება აქ იმასაც ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ პირველ სერიაში მიმდინარე პროცესია აღწერილი, სადაც ობიექტი გარდაქმნის პროცესს განიცდის, მეორე სერიაში კი ეს პროცესი უკვე დასრულებულია. აქ ასპექტის საკითხიც შემოდის, თუმცა ამ პრობლემას აქ ვეღარ განვიხილავთ.

ერთი და იმავე ზმნის გარდამავლობის სხვადასხვა ხარისხისა და საფეხურის გრამატიკული ასახვა სხვა ენებშიც არის აღწერილი. ქართულის მსგავსად დასრულებული წარსულის დროებში ერგატიული კონსტრუქცია დასტურდება ინდო-ირანულ ენებში (ლაზარი 2010:306). პირდაპირ ობიექტზე მომხდარი გავლენის ხარისხის განსხვავება ობიექტის სხვადასხვა ბრუნვით არის მარკირებული ფინურში, მაგალითად: დაწერა წერილი (აკუნატივი), წერდა წერილს (პარტიტივი) (ჰოპერი და თომპსონი 1980:262).

სწორედ პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ მიმდინარე მოქმედების გამოხატულებასა მესამე პირის მიცემითბრუნვიანი პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა პირის ნიშნით პირველი სერიის მწკრივებში. მეორე სერიაში კი, სადაც ეს პროცესი უკვე დასრულებულია, მესამე პირის პირდაპირი ობიექტი სახელობითი ბრუნვით არის წარმოდგენილი და აღარც ობიექტური პირის ნიშანი აქვს.

ნიშანდობლივია, რომ მედიოაქტიურებში წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტის მსგავსი ობიექტი მთის დიალექტებში ზმნაში ნიშანს ვერც I სერიის მწკრივებში იჩენს:

*ის თამაშობს ჭადრაკს და არა ის *ს-თამაშობს ჭადრაკს*

*ის თაკილობს მოსვლას და არა ის *სთაკილობს მოსვლას...*

ცნობილია, რომ ძველ ქართულშიც პირდაპირი ობიექტი პირველი სერიის ზმნების ნაწილში პირის ნიშნით აღინიშნებოდა (*ხყოფს, დახწერს...*), სხვა ზმნებში კი არა (ქადაგებს-ტიპის ზმნებში) (სარჯველაძე 1997:77-80, §91, §95). სწორედ გარდამავალ და ლაბილურგარდამავალ ზმნებს შორის განსხვავების ანარეკლი უნდა ყოფილიყო ეს მოვლენა ძველ ქართულშიც.

ძველი ქართულისა და თანამედროვე დიალექტების მონაცემებსაც რომ თავი დავანებოთ, ქადაგებს/თამაშობს ტიპის ზმნების ბრუნვაცვალებადი ობიექტის თავისებურება მყოფადის წარმოებითაც მჟღავნდება, სადაც მედიოაქტიური ზმნები მყოფადში უკუქცევითობის ი- პრეფიქსს დაერთავენ: *ითამაშებს, იცხოვრებს...*, პირველი ტიპის ზმნებში კი ზმნისწინი აწარმოებს მომავალს (*ა-აშენებს, და-ხატავს*) და არა უკუქცევითობის ი- პრეფიქსით. ასე რომ, ამ განსხვავებას ააშკარავებს არა მარტო ენის ისტორიის ან დიალექტების მონაცემთა გათვალისწინება, არამედ თვითონ სალიტერატურო ენაში არსებული ყალიბებიც.

აკაკი შანიძე გარდამავალ ზმნებად მიიჩნევს *თაკილობს*, *ანგარიშობს*, *ხმარობს*, *ქირაობს* ზმნებს და აღნიშნავს, რომ ეს ზმნები გარდამავალია, თუმცა კი მედიაოქტივის ფორმათა წარმოებას იზიარებენ (შანიძე 1980:483). ის იქვე იმასაც დასძენს, რომ “ზოგი ზმნა გარდაუვალადაც იხმარება და გარდამავალადაც, ასეთებია *ვალობს*, *გლოვობს*, *თამაშობს*, *ლაპარაკობს*, *ნანობს*, *ოცნებობს*, *ფიქრობს* და სხვ.” (შანიძე 1980:483). ამ ყალიბის ზმნების ერთი ნაწილი I დიათეზის სრული უღლებების ზმნებში აქვს წარმოდგენილი დამანა მელიქიშვილსაც (მელიქიშვილი 2001:317, პარადიგმა 32).

უნდა ითქვას, რომ ბრუნვაცვალებადი ობიექტი ვერც ამ ზმნებთან იქნის პირის ნიშანს იმ დიალექტებში, სადაც გარდამავალი ზმნების მიცემითბრუნვიანი პირდაპირი ობიექტი დღესაც პირის ნიშნით არის გამოხატული. ფშაურში, მთიულურში, მოხეურში ფორმები **ს-თაკილობს*, **ჰ-ქირაობს*, **ჰ-გლოვობს*..., ჩვეულებრივ, არ დასტურდება. ჩვეულებრივია *თაკილობს*, *ქირაობს*, *გლოვობს*... ფორმები. ამ ზმნებს აწმყოს წრეშიც ლაბილურ-გარდამავალი ზმნის ფორმა აქვთ და აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებსაც სწორედ ლაბილურგარდამავალთა ანალოგიურად იწარმოებენ.

აშკარაა, რომ, ვნებითის ყალიბის ზმნების მსგავსად, მათ შორის, დეპონენსებსაც, შეუძლიათ აქტიური მოქმედების გამოხატვა, მედიაოქტიურ ზმნასაც შესწევთ ამის უნარი. ამ შემთხვევაშიც მედიაოქტიური ზმნის ბრუნვაცვალებადი ობიექტი ინარჩუნებს გარკვეულ განსხვავებებს მოქმედებითი გვარის ყალიბის ზმნის ბრუნვაცვალებად ობიექტთან შედარებით. ეს განსხვავება დაკავშირებულია არა მარტო ზმნის სემანტიკასთან, ტელიკურია ზმნა თუ ატელიკური (ტელიკური და ატელიკური ზმნების შესახებ პოლისკი 1979: 392-396), არამედ მორფოლოგიურადაც არის გამოხატული.

როგორც ჩანს, ძნელია, რომ მედიაოქტიური ზმნები შეფასდეს როგორც ან მხოლოდ გარდამავალი და ან მხოლოდ გარდაუვალი ზმნები. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ერთადერთ კრიტერიუმად მივიჩნევთ ბრუნვაცვალებადი პირდაპირი ობიექტის ქონას, მედიაოქტიურები მაინც ინარჩუნებენ განსხვავებას როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნებისგან. მათი ბრუნვაცვალებადი პირდაპირი ობიექტი შინაგან ობიექტად რჩება.

მართალია, არის შეხედულება, რომ გარდამავლობა მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი დიქტომიის სახით უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, არ შეიძლება შუალედური საფეხურების გამორიცხვა. ამა თუ იმ ენის მასალის ახლოს შესწავლა ხშირად

ასევე უკარავებს, რომ, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ტიპების გარდა, ხშირად არის წარმოდგენილი რაღაც შუალედური თვისებების მქონე სისტემებიც. ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ამა თუ იმ კატეგორიაზე ლაპარაკობენ, ხშირად კონტინიუმის ცნებაც შემოაქვთ, მათ შორის გარდამავლობის შესახებაც (ჰობერი და თომპსონი 1980:252-256). მედიო-აქტიურები გარდამავლობის მიხედვით შუალედურ საფეხურზე დგანან გარდამავალ, გარდაუვალ და გარდამავალ უკუქცევით ფორმებს შორის.

ასეთივე დასკვნა, თუმცა სხვა საფუძველზე დაყრდნობით, მოცემულია ლაზარის სტატიაშიც:

“გარდამავლობის კონცეფციის მიხედვით, რომელიც შეიძლება შკალის სახით წარმოვსახოთ, ზმნათა 1 კლასი თავსდება მის ერთ ბოლოში, მე-2 კლასი — მეორე ბოლოში, ხოლო მე-3 და მე-4 კლასები — შუაში (მათ ინტერვალში). მთელი ეს სისტემა ხასიათდება მწყობრი რეგულარობით” (ლაზარი 2010:318).

საშუალო ზმნების ბრუნვაცვალებადი ობიექტი “შინაგან ობიექტად” რჩება მაშინაც, როცა ის რეალურად არის წარმოდგენილი წინადადებაში. მიცემითბრუნვიანი ობიექტი ამ ზმნებში პირის ნიშანს ვერ იჩენს. ამის გარდა, ამ ყალიბის თემისნიშნთან ზმნებს აწმყოში ყალიბის შეუცვლელად არ შეუძლიათ ხმოვანბრეფიქსიანი ფორმის წარმოება (**თამაშობს — ეთამაშება/უთამაშებს**).

მყოფადის წრესა და მეორე სერიაში სწორედ უკუქცევითობის ი-პრეფიქსის გამოჩენა ქმნის ადგილს შინაგანი ობიექტის შესანარჩუნებლად. სწორედ ეს იწვევს სუბიექტის მოთხრობითი ბრუნვით აღნიშვნას მეორე სერიაში და არა ზმნის ან სუბიექტის სემანტიკის თავისებურება. ზმნის ფორმისგან დამოუკიდებლად მოთხრობითის გამოჩენა მხოლოდ ზოგ დიალექტში და თანაც მხოლოდ ზოგიერთ ცალკეულ ზმნაში თუ ხდება: *კაცმა ადგა, კაცმა წავიდა* ტიპის მაგალითები. ასეთ მაგალითებშიც ზოგჯერ სხვა სინტაქსურ მოვლენასთან გვაქვს საქმე (*ამ კაცმა ადგა და უთხრა*).

სტატიის მომდევნო ნაწილში განხილულია, თუ რა განასხვავებს უღლების პირველი ტიპისა და მესამე ტიპის ზმნების ფორმას.

5. მესამე (ცხოვრობს, თამაშობს) და მეოთხე (ტირის, იცინის) ჯგუფის ზმნების აწმყოს ფორმა

დინამიკურ გარდაუვალ ზმნებს აქვთ თავისი მორფოლოგიური ნიშანი: -ებ-ი, -ობ-ი ან -ევ-ი სუფიქსები. ამ სუფიქსებით დაბოლოებული ზმნები გარდაუვალი ზმნებია და ბრუნვაცვლელი სუბიექტი აქვთ.

გარდა **-ებ-ი**, **-ობ-ი** და **-ევ-ი** მარცვლებით დაბოლოებული ზმნებისა ყველა სხვა უმეშველზმნო ზმნას ბრუნვაცვალებადი სუბიექტი აქვს (გამონაკლისია ინვერსიული ზმნები, რომლებიც ან მიცემითსუბიექტიანად უნდა ჩაითვალოს, ანდა უსუბიექტოდ; მაგ.: *თინას ახველებს, თინას დაახველავ*).

მეშველზმნიანები ქმნიან გარდაუვალი სტატიკური ზმნების ყალიბს (*ვწევარ, ვდგავარ, ვზივარ, ვუყვარვარ, ვძულვარ...*), რომლებსაც ბრუნვაუცვლელი სუბიექტი აქვთ. როგორც ზემოთაც არის აღნიშნული, მეშველზმნიანების ერთი მცირე ჯგუფი ბრუნვაცვალებადსუბიექტიანია (*ვწუხვარ, ვდულვარ...*)

ბრუნვაცვალებად სუბიექტიან ზმნებში ერთმანეთისგან გაირჩევა ორი დიდი ჯგუფი: ტელიკური ზმნები (მოქმედებითი გვარის ზმნები), რომლებსაც შეუძლიათ, რომ მყოფადი ზმნისწინით ანდა ფორმის შეუცვლელად იწარმოონ (ჭუმბურიძე 1986:85-130) და ატელიკური ზმნები (საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნების ნაწილი), რომლებიც მყოფადის ფორმებს ხმოვანი პრეფიქსით იწარმოებენ. საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები უღლების მესამე ტიპშია მოქცეული შანიძის კლასიფიკაციით (შანიძე 1980:489). დამანა მელიქიშვილის მიხედვით კი პირველი დიათეზის სტატიკურ არასრულ კონსტრუქციად არის წარმოდგენილი (მელიქიშვილი 2001:69).

სტატიკის ამ ნაწილში ნაჩვენებია თუ რა მორფოლოგიური ნიშნები აქვს მედიაოქტიურ ზმნებს აწმყოს მწკრივში და როგორ განსხვავდებიან ისინი სწორედ თავისი ფორმით (და არა მარტო ფუნქციით) მოქმედებითი გვარის ზმნებისგან.

აკაკი შანიძე წერს:

“რა აქვს საერთო მედიუმს აქტივთან? — ის, რომ გარეგნულად მასაც ისეთივე სახე აქვს, როგორც მოქმედებითს: “ტრიალებს” და “ატრიალებს” გარეგნულად ერთმანეთისგან ა-თი განსხვავდებიან, მაგრამ ა- არ არის საზოგადოდ ისეთი ნიშანი, რომ იმის მიხედვით გვარებს ვარჩევდეთ, თორემ “წერს” და “აწერს” ან “წევს” და “აწევს” სხვადასხვა გვარის ზმნები იქნებოდა. “ქრის” და “ხრის” ერთნაირად ნაწარმოები ზმნებია, მაგრამ ერთი გვარისა არ არიან. წევს “წოლის” მნიშვნელობით და წევს “გაწევის” მნიშვნელობით ერთნაირად ჟღერენ, მაგრამ სხვადასხვა გვარს ეკუთვნებიან...”

საშუალი გვარი მორფოლოგიურად მოქმედებითისგანაც განსხვავდება და ვნებითისგანაც: მოქმედებითისაგან ფუნქციით, ვნებითისაგან ფორმით. თუ განსხვავების ნაცვლად მსგავსების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ: საშუალ ზმნას ფორმა მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითისა...” (შანიძე 1980:304).

მართლაც, მოქმედებითი გვარის ზმნებსა და მედიოაქტიურებს შორის არა ჩანს ისეთი თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშანი, როგორც ბრუნვაუცვლელ სუბიექტიან და ბრუნვაცვალებად სუბიექტიან ზმნებს შორის არის, მაგრამ გარკვეული განსხვავება მათ შორის მაინც შესაძრწნევა. ბესარიონ ჯორბენაძემ ქართული ზმნის უღლების ორი ძირითადი ყალიბი გამოყო, მაგრამ შენიშნავს, რომ **მოქმედებითის და საშუალო გვარის ყალიბები ერთმანეთისგან განსხვავებულია** (ჯორბენაძე 1988:175-186).

გასაკვირი არ არის, რომ ეს განსხვავება ისეთი დიდი წყალგამყოფით არ არის გამოკვეთილი, როგორც ბრუნვაუცვლელ სუბიექტიან და ბრუნვაცვალებად სუბიექტიან ზმნებს შორის. მოქმედებითი გვარის ზმნები და მედიოაქტიურები, ასე თუ ისე, მაინც ახლოს დგანან ერთმანეთთან. ორივეს ბრუნვაცვალებადი სუბიექტი აქვს და თუ ირიბის გარდა სხვა ობიექტი დაუდასტურდა, ისიც ბრუნვაცვალებადია, მაგრამ განსხვავება მაინც ხელშესახებია.

მართალია, მესამე პირის ფორმები (მაგალითად, *წევს* და *წერს*) ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ სწორედ მეშველზმნიანობა გაარჩევს ამ კონკრეტულ წყვილებს ერთმანეთისგან, რაც პირველი და მეორე პირის ფორმებში დაჩნდება (*მღრ. ვწერ* და *ვწევარ; ვხრი* და *ვქრი/ვქრევარ*). რაც შეეხება *ტრიალებს* და *ატრიალებს* ფორმებს, მათ შორის განსხვავებას სწორედ ა-პრეფიქსის დართვის უნარის ქონა-უქონლობა ქმნის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის —ებ თემის ნიშანიც, რომელიც *ტრიალებს* ფორმაშია წარმოდგენილი, თავისი ბუნებით განსხვავებულია *ატრიალებს* ფორმაში წარმოდგენილი —ებ თემის Vნიშნისგან. მესამე ჯგუფის ზმნებში წარმოდგენილი —ებ თემის ნიშანი ჩანაცვლებადია —თბ თემის ნიშნით: *ტრიალებს* — *ტრიალობს, ბიბინებს* - *ბიბინობს*, პირველ ჯგუფში კი ეს შეუძლებელია: *ატრიალებს* - **ატრიალობს* (ჯორბენაძე 1988). მესამე სერიაში მათი განსხვავებული ქცევის შესახებ შემოთაც აღვნიშნეთ (შანიძე 1980:476).

ზმნების ეს ორი დიდი ჯგუფი (ტრადიციული ტერმინოლოგიით, მოქმედებითი გვარისა და საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნები) ერთმანეთისგან განსხვავდებიან ან აფიქსაციით, ანდა ერთნაირი აფიქსაციის შემთხვევაში, ძირის ფონემატური სტრუქტურით.

აქ წარმოვადგენთ ცხრილს, სადაც ნაჩვენებია, ერთი მხრივ, უღლების პირველი ტიპისა (*აშენებს, თლის*) და, მეორე მხრივ, უღლების მესამე (*ცხოვრობს*) და მეოთხე ტიპის (*ტირის*,

იცინის) ზმნების ფუძის აგებულება. მათ შორის განსხვავება თვალსაჩინოა. მაგალითად, უმარცვლო ძირის მომდევნო — სუფიქსი, ჩვეულებრივ, თემის ნიშანია, ხოლო მარცვლოვანი ძირის მომდევნო — სუფიქსი ლაბილურგარდამავალი ზმნის აწმყოს ფორმას აწარმოებს (მაგ.: *ყვირ-ი-ს*), მაგრამ თუ მარცვლოვანი ძირის ბოლო სეგმენტი არა ცალი თანხმოვნით, არამედ თანხმოვნისა და სონორის მიმდევრობით მთავრდება, მაშინ ეს — სუფიქსი მწკრივის ნიშანი კი არ არის, არამედ თემის ნიშანია და ზმნა გარდამავალი ყალიბისაა; მაგ.: *ჯღაბნი-ს...* (შანიძე 1980:393-394). თუკი მეშველზმნიანებს და — ებ-ი სუფიქსით ნაწარმოებ ზმნებს გამოვრიცხავთ, ყველა დანარჩენ შემთხვევაში უმარცვლო ძირისგან ნაწარმოები ზმნა, ჩვეულებრივ, უღლების პირველი ტიპის ზმნაა. მარცვლოვანი ძირისგან ნაწარმოები გარდამავალი და ლაბილურგარდამავალი ზმნები კი ერთმანეთისგან ან აფიქსაციით განსხვავდებიან, ანდა ძირის სტრუქტურით.

მეორე ცხრილში ეს მოდელებია წარმოდგენილი. ნიშანი + აღნიშნავს ფორმის მქონებლობას, ნიშანი X აღნიშნავს, რომ ფორმა არ დასტურდება. **გარდამავალ (ვაშენებ, ვრეცხავ) და ლაბილურგარდამავალ (ვცხთვრობ, ვცოცავ) უმეშველზმნობებს აწმყოში მხოლოდ ორი ყალიბი აღმოაჩნდათ საზიარო, კერძოდ, უხმოვანპრეფიქსო მარცვლოვანი ძირი+ავ, სადაც ძირი შეიცავს ი, ო, ან უ-ხმოვანს და, აგრეთვე, უთემინიშნო წარმოება რამდენსამე ზმნაში.**

პრეფიქსად მითითებული *თ* ან *ა-* აღნიშნავს, როგორ იწარმოებს ზმნა საარვისო ქცევის ფორმას: ხმოვანი პრეფიქსით თუ ხმოვანი პრეფიქსის გარეშე. ფრჩხილებში მითითებულია მაგალითები. ჩამოთვლილია გამონაკლისებიც. სადაც ყველა გამონაკლისი არ არის დასახელებული, მითითებულია მათი რაოდენობა. მასალად გამოყენებულია ზმნების ინდექსი, რომელიც წარმოდგენილია დ. მელიქიშვილის გამოკვლევაში (მელიქიშვილი 2001:271-346).

**ცხრილი მეორე
გარდამავალი და ლაბილურგარდამავალი ზმნის ფუძეების
აგებულება პირდაპირი წყობის ზმნებში**

	გარდამავალი ზმნები (უღლებების ტიპი 1)	ლაბილური გარდამავლობის ზმნები (უღლებების ტიპები 3 და 4)
მ-უმარცვლო ძირი-ავ (ცხნავ, ვთხზავ)	+	X
მ-მარცვლოვანი ძირი, ა-ს შემცველი-ავ (ძახავს, კაწრავს)	+	X გამონაკლისი: ქანავს
მ-მარცვლოვანი ძირი, ე-ს შემცველი-ავ	+	X გამონაკლისები*: ფეთქავს, ღვეთავს, წვეთავს, ცეკვავს
მ-მარცვლოვანი ძირი--ავ (-ი, -ო ან —უ-ხმოვნის შემცველი) (I ტიპი: ხოცავს, III ტიპი: ცოცავს)	+	+
მ-უმარცვლო ძირი-ობ (გმობს, სპობს) (უმარცვლო ძირებს მესამე სერიაში —ობ არ გადაჰყვებათ**)	+	X გამონაკლისები: ხმობს, ბჭობს, გრძნობს
მ-მარცვლოვანი ძირი-ობ (თამაშობს, ბატონობს)***	X	+
მ-მარცვლოვანი ძირი-ებ (ბიბინებს, კანკალებს)	X გამონაკლისები: ვბრძანებ, ვბადებ (სულ რვა ზმნა)****	+
ა-მარცვლოვანი ძირი-ებ (აკეთებს, აშენებს, აშენებინებს)	+	X
ა-შეკუმშული უმარცვლო ძირი-ებ (აკლებს, ასწრებს)	+	X
ა-უმარცვლო ძირი-ებ (აღებს, აგდებს)	+	X

ა-უმარცვლო ძირი-ობ (აკრთობს, ალბობს)	+	X
ა-თანხმოვანი/თანხ. ჯგუფი-ენ (აძვრენს, აწვეენს)	+	X
ა-უმარცვლო ძირი-ევ (ანგრევს, ართმევს, არკვევს)	+	X
ა-უმარცვლო ძირი-ამ	+	X
ა-უმარცვლო ძირი—ი სუ- ფიქსი (თლის, ჭრის, ფხვნის)	+	X გამონაკლისები: ხტის, ქრის, ძრწის, კრთის, თრთის
- მ-მარცვლოვანი ძირი, რომელიც მთავრდება ერთზე მეტი თანხმოვნით და —ი სუფიქსით - (ჰფხაჭნის, ჰკოცნის)	+	X
მ-მარცვლოვანი ძირი დამთავრებული მარ- ტივი თანხმოვნით და —ი სუფიქსით (ბლავის, კივის)	X - გამონაკ- ლისები: ჰყ- იდის, სტენის, წონის	+
მ-ფუძედრეკადები (ცვეთს//ცვეთავს)	+	X გამონაკლისები: ფრენს, ფშვენს, ქშენს, ლრენს *****
მ-არაფუძედრეკადი უთემისნიშნოები*****	+	+
	სულ ათიოდე ძირი (წერს, ჭამს, ბანს, ატანს, იყვანს, ფხანს, ქსოვს, ძოვს, სთხოვს, წოვს)	სულ 5 ძირი: ყდერს, ჩქეფს, ყეფს, ძგერს, შხეფს

* ე-განმოვანებიანი —ავ-თემისნიშნიანი ზმნები, ჩვეუ-
ლებრივ, გარდამავალი ზმნებია. გამონაკლისებია *ფეთქავს*,
ღვეთავს წვეთავს, ცეკვავს. არის კიდევ ერთი ზმნა *ღელავს*,
რომელიც —ავ თემისნიშნიანია, თუმცა -ავ ფუძის ნაწილივით
იქცევა (*იღელავა*). ზმნა *ნებავს* ინვერსიულია და შეიძლებოდა აქ
არც დასახელებულიყო.

**** უმარცვლო ძირებს მესამე სერიაში თემის ნიშანი არ გადაჰყვებათ.** ეს წესი მოქმედებს ყველა -ებ, -ობ და -ამ თემისნიშნიან უმარცვლო ძირებთან.

პირველი და მესამე ტიპის მარცვლოვანი ძირები მესამე სერიას ებ-ნიშნის ქონა უქონლობით გაარჩევენ: *აშენებს — აუშენებს*. *კანკალებს — უკანკალობა*. აკაკი შანიძე მიუთითებდა, რომ ენაში მესამე სერიაში არის მცდელობა უღლების პირველი და მესამე ტიპების განსხვავებისა (შანიძე 1980:476). თემის ნიშანთა განაწილების შესახებ გამოკვლევაში ბ. ჯორბენაძე წერს: “მიუხედავად იმისა, რომ ფორმოზოგი სტრუქტურა (ყალიბი) მოქმედებითი და “საშუალი” გვარის ზმნებს იდენტური აქვს (ა. შანიძე), თავს იჩენს მათი განსხვავების ტენდენციაც, რაც სხვადასხვა თემის ნიშნის გამოყენებითაც ვლინდება” (ჯორბენაძე 1988:185)

უმარცვლო ძირებისგან -ებ და -ობ თემის ნიშნით მედიოაქტიურები არ იწარმოება. ამიტომ ის ფაქტი, რომ უმარცვლო ძირებს -ებ და -ობ თემის ნიშნები მესამე სერიაში არ მიჰყვებათ, სისტემას არ არღვევს. *სპობს — მოუსპობა* და *თამაშობს — უთამაშობა* ძირის სტრუქტურით განსხვავდებიან ერთმანეთისგან (უმარცვლო გარდამავალია, მარცვლოვანი ლაბილურგარდამავალია).

რაც შეეხება -ავ თემისნიშნიანებს, უღლების პირველი ტიპის ზმნებს შეუძლიათ პარადიგმური ფორმები იწარმოონ მესამე სერიაში: *რეცხავს — გაურეცხია/გაურეცხავს*, მედიოაქტიურები კი ამ შესაძლებლობას მოკლებული არიან: *ცოცავს — უცოცია* (და არა *უცოცავს*).

***** ფიქრობს, ანგარიშობს** და სხვა ზმნები, რომელიც 32-ე პარადიგმის სახით მოქმედებითი გვარის ზმნებს შორის არის წარმოდგენილი დამანა მელიქიშვილის გამოკვლევაში (მელიქიშვილი 2001:317), მესამე ტიპის უღლებაში შემავს მათი ფორმის გამო, აგრეთვე მათი ბრუნვაცვალებადი დამატების თავისებურების გამო, რის შესახებაც ზემოთ იყო აღნიშნული. მათი ობიექტი გარდამავალი ზმნების ობიექტის მსგავსად იცვლის ბრუნვას, მაგრამ მათი უღლების პარადიგმა მესამე ტიპის ზმნის უღლების პარადიგმაა.

****** უხმოვანპრეფიქსო —ებ თემისნიშნიანი პირველი ტიპის ზმნებია ვბრძანებ, ვბადებ, ვპატიჟებ, ვწამებ, ვკადრებ, ვტაცებ, ვტოვებ, ვმატებ** — ეს ზმნები სხვა —ებ თემის ნიშნიანებისგან განსხვავებით ა- პრეფიქსის გარეშე იწარმოებენ საარვისო ქცევის ფორმას. თუმიცა *ვტაცებ* ზმნის გარდა დანარჩენებს იმის უნარიც აქვთ, რომ ხმოვანი პრეფიქსი დაირთონ. გარდა ამისა, *ვბრძანებ, ვკადრებ, ვტაცებ* ზმნები განსხვავდებიან დანარჩენი მოქმედებითი გვარის ზმნებისგან, ან, უფრო ზუსტად, უღლების

პირველი ტიპის ზმნებისგან რამდენიმე სხვა თავისებურებითაც, კერძოდ, მყოფადის წრის მწკრივების (და შესაბამისად, მეორე სერისის მწკრივების) წარმოებით.

***** ლაბილურგარდამავალ ზმნებს შორის ფუძედრეკადი ზმნების ერთი მცირე ჯგუფიც იჩენს თავს. მართალია, ჯგუფი *ფრენს, ფშვენს, ქშენს, ლრენს* ფუძედრეკადია და ამით პირველი ტიპის ზმნებს წააგავს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ პირველი ტიპის ზმნებს შეუძლიათ -ავ თემის ნიშნის დართვისას პარალელური ფორმები ჰქონდეთ: *დრეკავს//დრიკავს, გლეჯავს//გლიჯავს...* მედიაოქტიურები კი ე- განმოვანებიან ფუძეზე —ავ თემის ნიშანს ვერ დაირთავენ: *ფრინავს და არა ფრენავს, ფშვინავს და არა ფშვენავს...* აქაც ჩანს ის კანონზომიერება, რომელიც ზევითაც იყო აღნიშნული: ე- განმოვანებიანი ფუძე —ავ თემის ნიშნით უღლების პირველი ტიპისთვის არის დამახასიათებელი, მესამე ტიპისთვის კი გამონაკლისი ჩანს.

***** უღლების პირველი ტიპის ბოლო ჯგუფში ჩამოთვლილია ის მცირერიცხოვანი ზმნები, რომლებიც ვერ იწარმოებენ —ავ თემისნიშნიან ფორმებს (*ვბან და მისთ.*). მაგალითად, *ვთიბ, ვჩეჩ* ტიპის ზმნები აქ არ სახელდება, რადგან მათ მოეპოვებათ —ავ თემისნიშნიანი ცალები. *ვწერ* ზმნა აქ სალიტერატურო ენის მონაცემების გათვალისწინებით შემოდის. ფაქტობრივად კი მასაც შეუძლია -ავ თემის ნიშნის დართვა: *ვწერავ.*

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ზმნები, რომლებიც VCC-ი მარცვლებით ბოლოვდებიან, უღლების პირველი ტიპის ზმნებია რამდენიმე გამონაკლისის გარდა (ეს გამონაკლისებია: *ვზტი, ვკრთი, ვძრწი, ვთრთი, ფრთხის, ქრის* და ძველი ფორმით შენარჩუნებული რამდენიმე ზმნა: *ილწვის, ისმის, იბრძვის, ილტვის, იჭირვის*)

VC-ი მარცვლებით დაბოლოებული ზმნები მედიაოქტიური ზმნებია და ზმნების მეოთხე ჯგუფში არიან გაერთიანებული (გამონაკლისებია *ვეიდი, ვტენი, ვწონი*).

ერთი შეხედვით საერთო მოდელს ქმნიან -ავ, -ებ და -ობ თემის ნიშანზე დაბოლოებული მოქმედებითი გვარის ზმნები და მედიაოქტიურები, მაგრამ აქაც გამოიყოფა რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი:

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თუკი მეშველზმნიანებს და — ებ-ი სუფიქსით ნაწარმოებ ზმნებს გამოვრიცხავთ, ყველა დანარჩენ შემთხვევაში უმარცვლო ძირისგან ნაწარმოები ზმნა, ჩვეულებრივ, უღლების პირველი ტიპის ზმნაა.

მარცვლოვანი ძირებისგან ნაწარმოებ -ებ თემისნიშნიანებში ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია ა- ხმოვანპრეფიქსიანი წარმოება

გარდამავალი ზმნებისა. სწორედ ა- ხმოვანპრეფიქსიან წარმოებას მიიჩნევს გარდამავლების ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მ. სუხიშვილი (სუხიშვილი 1986:93-106). იმ გარდამავალ ზმნებშიც, რომლებიც ნეიტრალურ ქცევას ხმოვანი პრეფიქსის გარეშე იწარმოებენ, არის ადგილი ხმოვანი პრეფიქსისთვის (სხვა ქცევების ფორმების ან საწედაო სიტუაციის გამოსახატავად).

უღლების მესამე ტიპის ზმნების აწმყოს ფორმაში ა- ხმოვანი პრეფიქსის ადგილი არ არის და არც იგულისხმება. ამით განსხვავდება ის უღლების სხვა ტიპებისგან. თუ მესამე ტიპის ზმნას ა- პრეფიქსი დაერთო, ის უღლების პირველი ტიპის ზმნა ხდება ანდა ინვერსიას განიცდის, მაგალითად: *კანკალებს — სიცივე ნინოს აკანკალებს/სიცივემ ნინო ააკანკალა* და ამ ზმნის ინვერსიული ცალი: *ნინოს აკანკალებს/ნინოს ააკანკალა. ყალიბის ცვლა სხვა ხმოვანი პრეფიქსის დართვის დროსაც შესალებელია.* მაგალითად, *კანკალებს — უკანკალებს —* ეს ერთი შეხედვით არის ერთი და იგივე ზმნა, მაგრამ *უკანკალებს* სხვა ყალიბის ზმნაა: *შიში ნინოს ხელებს უკანკალებს — შიშმა ნინოს ხელები აუკანკალა;* თუ ზმნა *უკანკალებს* მესამე ტიპის ზმნის (კანკალებს) ხმოვანპრეფიქსიან ცალად მოიქცევა, მაშინ ის აუცილებლად ინვერსიული და გარდაუვალი ზმნის ყალიბზე გადადის: *ნინოს ხელები უკანკალებს — ნინოს ხელები აუკანკალდა.* ეს უკეთესად ჩანს — ობ თემისნიშნიანების ჩვენებით. ისინი ხმოვანი პრეფიქსის დართვისთანავე, როგორც წესი, -ებ-იან წარმოებაზე გადადიან. პირდაპირ — ობ თემისნიშნიან ფორმაზე ხმოვან პრეფიქსს ვერ დაირთავენ. ძირითადად ასეა, თუმცა გამონაკლისებიც მოინახება.

არის კიდევ რამდენიმე ზმნა (*ჟღერს, ჩქეფს, ძვერს, შხეფს —* ზმნები), რომლებიც არც ფუძედრეკადია, ვერც თემის ნიშანს დაირთავენ და ვერც მეშველ ზმნას. როგორც ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ ისინი არ არიან ფუძედრეკადი ზმნები და არ მოეპოვებათ **-ი** გახმოვანებიანი ვარიანტი, ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას, რომ —*ავ* თემის ნიშანი დაირთონ. **მოქმედებითი გვარის ზმნებს შეუძლიათ —ავ** თემის ნიშანი **ე-გახმოვანებიანი ფუძეზეც დაირთონ (ჩეჩს — ჩეჩავს, დრეკს — დრეკავს),** მედიოაქტიურებს კი, როგორც ჩანს, ეს არ შეუძლიათ. *ჟღერავს* ისეთივე ფორმა იქნებოდა, როგორც *ფშეწავს.* ორივე შეუძლებელი ფორმაა. *ფშეწვს* ზმნამ ი-გახმოვანებიანი ფორმა გამოიყენა თემის ნიშნიანი წარმოებისთვის (*ფშეწინავს*) და ამით შეინარჩუნა სიცოცხლის უნარი, *ჟღერს* ზმნას, ასევე, *ჩქეფს, ძვერს, შხეფს* ზმნებს კი ამის საშუალება არა აქვთ. სწორედ ამიტომაც შერჩათ მათ ასე განსხვავებული ფორმა და წიგნური სტილის იერი.

ეს იყო მცდელობა, რომ მხოლოდ აწმყოს ფორმებზე დაყრდ-

ნობით გაგვეჩიხა ერთი მხრივ, პირველი (*აკეთებს*) და, მეორე მხრივ, მესამე (*თამაშობს, კანკალებს*) და მეოთხე ჯგუფების (*იციინის, ყვირის*) ზმნები. მწკრივთა პარადიგმების გათვალისწინებით მათი განსხვავება ისედაც თვალსაჩინოა.

შეიძლება ითქვას, რომ მედიაოქტიური ზმნების გამოყოფის საფუძველი არ არის მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკური. ამ ზმნებს თავისი ფორმაც მოეპოვებათ, რომელიც განსხვავდება როგორც გარდაუვალი დინამიკური ზმნების *R-Th-ი* ყალიბისაგან, ასევე გარდაუვალი სტატიკური *R-ვარ* და გარდამავალი ზმნების ყალიბისგან. გარდამავალი ზმნების ყალიბს შეიძლება პირობით *ა/ი/უ-R-Th-თ* ან *V-R-Th-თ* ყალიბი უწოდოთ (*ვაკეთებ*), რადგან მათი ყალიბის ზმნების აწმყოს ფორმაში არის ადგილი *ა-პრეფიქსისთვის*. მესამე ჯგუფის ზმნების ყალიბი შეიძლება დახასიათდეს როგორც *თ/უ-R-Th-თ* (*ვკანკალებ, ვთამაშობ*), მეოთხე ჯგუფისა *თ/უ-R-ი* (*ვტირი, ვტყუი*), (შეიძლება გამოჩნდეს *ი-პრეფიქსიც* ცალკეულ ზმნაში) და მეხუთე ჯგუფისა *ა-/უ-R-Aux* (*ვწუნვარ, ვდუმვარ*).

გარდამავალი ზმნების აწმყოს ფორმას აქვს *ა-ხმოვანი პრეფიქსის ადგილი ზმნის ძირის წინ (ა-R-Th)*, გარდაუვალი ზმნების აწმყოს ფორმას აქვს თემის ნიშნის მომდევნო —*ი-სუფიქსი (R-Th-ი)*, მედიაოქტიურებს კი, კერძოდ, მესამე და მეოთხე ჯგუფებს, არც თემის ნიშნის მომდევნო —*ი სუფიქსი აქვთ და არც აწმყოში ა-ხმოვანი პრეფიქსის ადგილი (R-Th)*.

ჩანს, რომ მედიაოქტიური ზმნები არა მარტო სემანტიკით, არამედ აფიქსაციით ან, ერთნაირი აფიქსაციის შემთხვევაში, ძირის ფონემატური სტრუქტურით განსხვავდებიან პირველი და მეორე ტიპის ზმნებისგან.

დასკვნა

მედიაოქტიური ზმნების გამოყოფის საფუძველი არა ჩანს მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკური ანდა ფუნქციური მახასიათებლები. ფორმის მიხედვითაც შეიძლება ამ ზმნების განსხვავება, ერთი მხრივ, გარდამავალი ზმნების ყალიბისგან, მეორე მხრივ, გარდაუვალი ზმნების ყალიბისგან. ამ ყალიბში ექვევიან არა მარტო ხმიანობის ან მოძრაობისა და მდგომარეობის გამომხატველი ზმნები, არამედ სხვა ზმნებიც.

ქართულში ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად განსხვავდება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. დინამიკურ გარდაუვალ ზმნებს აქვთ —*ებ-ი/-თბ-ი/-თგ-ი* სუფიქსი, სტატიკურ გარდაუვალ ზმნებს აქვთ მეშველზმნიანი წარმოე-

ბა აწმყოს მწკრივის ვინის რივის პირველი და მეორე პირის ფორმებში.

გარდამავალ ზმნებს არა აქვთ —*ებ-ი/-ობ-ი/-ოვ-ი* სუფიქსი და არც მეშველი ზმნა. მათ შეუძლიათ ხმოვანი პრეფიქსის დართვა ზმნის ყალიბის შეუცვლელად და სრული ასპექტის გამოხატვა ზმნისწინის საშუალებით. გამოხატავენ ტელიკურ მოქმედებას. ძველ ქართულში და დღესაც რამდენიმე დიალექტში შეუძლიათ პირის ნიშნით აღნიშნონ მიცემითბრუნვიანი პირდაპირი ობიექტი პირველ სერიაში.

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის შუალედურ საფეხურზე დგანან მედიაოქტიურები ანუ ლაბილურგარდამავალი ზმნები. მათ არა აქვთ —*ებ-ი/-ობ-ი/-ოვ-ი* სუფიქსი, შეიძლება ჰქონდეთ მეშველი ზმნა. მოქმედებას წარმოადგენენ როგორც ატელიკურს. უჭირთ ხმოვანი პრეფიქსის დართვა ზმნის ყალიბის შეუცვლელად აწმყოს ფორმაში. ვერ დაირთავენ ა-პრეფიქსს მთლიანი პარადიგმის შეუცვლელად. ვერ იჩენენ პირის ნიშანს მიცემითბრუნვიანი პირდაპირი ობიექტის მსგავსი აქტანტის გამოსახატად. სრული ასპექტის ფორმებს უკუქცევითობის ი-პრეფიქსით იწარმოებენ (სამკვლევნიან ზმნებში უ-პრეფიქსით). მათი ბრუნვაცვალებადი ობიექტი თავისი სემანტიკით უმეტესად არაკონკრეტულია: *თამაშობს ფეხბურთს, ჭადრაკს, ლაპარაკობს მართალს, ტყუილს...*

მათი ბრუნვაცვალებადი ობიექტი თავისი მორფოლოგიით “შინაგან” ობიექტად რჩება მაშინაც, როცა ის წინადადებაშია წარმოდგენილი. ძველი ქართულისა და ზოგი თანამედროვე დიალექტის მონაცემები ადასტურებენ განსხვავებას: თუ გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია, ის ზმნაში პირის ნიშნით არის წარმოდგენილი: *ის სთლის/სჭრის/ჰქსოვს/სწერს...*, მაგრამ იმავე დიალექტებში ლაბილურგარდამავალი ზმნების ობიექტს პირის ნიშნის გაჩენის უნარი არა აქვს: *ის თამაშობს/ტყუის/ტირის/თავკაცობს...*

ქართულში, როგორც ჩანს, გარდამავლობის სხვადასხვა ხარისხი არამართო სემანტიკურად, არამედ მორფოლოგიურადაც არის გამოხატული: ზმნის ფუძის აგებულებით და ობიექტური პირის ნიშნის ქონა-უქონლობით. ეს არ არის უნიკალური მოვლენა. გარდამავლობის მეტნაკლები ხარისხი, ანდა გარდამავლობისა და უკუქცევითობის სხვადასხვა სახის კომბინაცია სხვადასხვა ენაში სხვადასხვა საშუალებით გამოიხატება.

დამოწმებული ლიტერატურა:

ასათიანი და სხვ. 2010: Skopeteas, S., Fanselow, G. & Asatiani, R. (2010) **Case inversion in Georgian: Syntactic properties and sentence processing**. www.ling.uni-potsdam.de/~fanselow/files/Skopeteas%20Fanselow%20Asatiani%20Inversion2.pdf

აფრიდონიძე, შ. 1998: ერგატიული და ფსევდოერგატიული კონსტრუქციების შემქმნელი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსის საკითხები, არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალები

გოგოლაშვილი, გ. 1988: ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი, მეცნიერება

თოფურია, ვ. 2002: ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, შრომები, ტ. II, თბილისი, ქართული ენა

ლაზარი, ე. 2009: ქართული ენა: დუალური („აქტიური“) აქტანტი თუ ერგატიული? ანტი-იმპერსონალური ზმნების ტიპოლოგია (პირველად დაიბეჭდა 2001 წელს), ელენე გიუნაშვილის ქართული თარგმანი, იკე XXXVII

მელიქიშვილი, დ. 1979: მოქმედებითი გვარის ზმნების უღვლების სისტემა თანამედროვე ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, ნომერი 1, 1979

მელიქიშვილი, დ. 2001: ქართული ზმნის უღვლების სისტემა, თბილისი, ლოგოს პრესი

ნოზაძე, ლამარა, 1974. მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე XIX, თბილისი, მეცნიერება

რეიფილდი და სხვ. 2006: დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ლონდონი, გარნეტი

სარჯველაძე, ზ. 1997: ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა

სუნიშვილი, მ. 1986. გარდამავალი ზმნები ქართულში, თბილისი, მეცნიერება

სუნიშვილი, მ. 2008: მედიაოქტივთა საქცეო სისტემის საოპოზიციო ცალების ზოგიერთი გრამატიკული და სემანტიკური თავისებურების შესახებ, იკე XXXVI

ტიუტი, კ. 1993: Kevin Tuite, Paradigm recruitment in Georgian, 8th Conference on the Non-Slavic languages in what used to be the USSR (Chicago, 1993) <http://mapageweb.umontreal.ca/tuitekj/publications/Tuite-1996-paradigm.pdf>

შანიძე, ა. 1980. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჩიქობავა, ა. 1998. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, ქართული ენა

ჭუმბურიძე, ზ. 1986: მყოფადის წარმოება ქართველურ ენებში

ჭუმბურიძე, ზ. 2007: “ყველას მაგივრად თქვენ რატომ მკასუნობთ?” კრებულში: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ჯორბენაძე, ბ. 1988: თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში, იკე XXVII

- ჯორბენაძე, ბ., 1991:** Jorbenadze, B. The Kartvelian Languages and Dialects, თბილისი, მეცნიერება
- ჰარისი, ა. 1982:** Alice C. Harris, Georgian and the Unaccusative Hypothesis, in Language, journal of the linguistic society of America, vol. 58, number 2, June 1982, Linguistic society of America
- ჰარისი, ა. 2009:** Alice C. Harris, Georgian Syntax, Cambridge University Press (პირვ. გამოც. 1981)
- ჰოლისკი, დ. 1979:** Dee Ann Holisky, On lexical aspect and verb classes in Georgian, in: The Elements: a parasession on Linguistic Units and Levels, including Papers from the Conference on Non-Slavic Languages of the USSR, Chicago Linguistic Society, University of Chicago
- ჰოპერი და თომპსონი 1980:** Paul J. Hopper & Sandra A. Thompson. Transitivity in Grammar and Discourse, კრებულში: Language, vol. 56, N2, June 1980, gv. 251-299 (Linguistic Society of America)